სამაუწყებლო კომპანია შ.პ.ს. ტელერადიო-პრესკომპანია „ზარი“-ს ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმის თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

სამტრედია

30 სექტემბერი 2021 წელი.

წინამდებარე ოფერტით განსაზღრულია სამაუწყებლო კომპანია „ზარი“-ს მულტიპლექსპლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“)

„ზარი“-ს ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1. მომსახურება იწარმოება DVB-T სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG2 ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (OFDM Modulation code:2K, 64QAM, Coding rate: 1/2 Guard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 18,9 მგბტ.წამში, SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ. წამისა:

1.1 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: საქართველო, ქ.სამტრედია, ჯავახიშვილის N8. შ.პ.ს. ტელერადიო-პრესკომპანია „ზარი“-ს სატელევიზიო ანძა.

1.2 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე.

1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: (IP Stream SD 720/576) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების სისტემა PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალისა და EPG მონაცემებით.

2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1 „ზარი“-ს ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს დღგ-ს გარეშე.

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები.

3.1 აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი,

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა.

4. ოფერტის მოქმედების ვადა;

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2021 წლის 30 სექტემბრიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

შ.პ.ს. ტელერადიო-პრესკომპანია „ზარი“-ს

დირექტორი. ოთარ თევზაძე